ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების
რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for
vulnerable groups

PENAL REFORM INTERNATIONAL

პატიმრების კონტაქტი გარე სამყაროსთან

სამაგიდე კვლევა

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

PENAL REFORM INTERNATIONAL

პატიმრების კონტაქტი გარე სამყაროსთან

წინამდებარე სამაგიდო კვლევა მოამზადა ორგანიზაციამ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ (ავტორი: ნატალია ცაგარელი). კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის – „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები არცერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დონორის, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ან მისი პარტნიორი ორგანიზაციების პოზიციის გამომხატველად.

The publication has been produced by Rehabilitation Initiative of Vulnerable Groups (Author: Natalia Tsagareli) within the framework of the EU funded project “Monitoring Government’s Commitments and Promoting Penal Reforms through the Engagement of CSOs” which is implemented by Penal Reform International South Caucasus Regional Office. The contents of this document is the sole responsibility of the Author and can in no circumstances be regarded as reflecting the position of either the donor or Penal Reform International, or its partner organisations.

სარჩევი

შესავალი 5

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.....5

საერთაშორისო სტანდარტები 6

- ქალი მსჯავრდებულების კონტაქტი გარე სამყაროსთან 8

- არასრულწლოვანი მსჯავრდებულების კონტაქტი გარე სამყაროსთან 9

- ბრალდებულის კონტაქტი გარე სამყაროსთან 10

ადგილობრივი კანონმდებლობა 10

კვლევების მეორადი ანალიზი 21

სახალხო დამცველის ანგარიშების მეორადი ანალიზი 21

სტატისტიკური ინფორმაცია 22

შესავალი

გარე სამყაროსთან კონტაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრალდებულისა და მსჯავრდებულისთვის. დახურულ ინსტიტუციაში ყოფნა თავისთავად დამთრგუნველია და დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ სირთულეებთან, პენიტენციურ სტრესთან. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დიდ ნაწილს უჭირს დახურულ სივრცესთან ადაპტირება, პენიტენციური დაწესებულების რუტინასთან შეგუება, შესაბამისად, მათი სრული იზოლაცია დაუშვებელია და ამ პროცესში გარე სამყაროსთან კავშირის შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. იმისათვის, რომ ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა შეინარჩუნოს კავშირი ოჯახთან, გარე სამყაროსთან და დაწესებულების დატოვების შემდეგ მაქსიმალურად გაუადვილდეს საზოგადოებაში რეინტეგრაცია, კონტაქტის სხვადასხვა ფორმის და საშუალების აქტიურად გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ქვემოთ მიმოვიხილავთ გარე სამყაროსთან კონტაქტის შესახებ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოში მოქმედ ადგილობრივ კანონმდებლობას და შევაჯამებთ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაკეთებულ შეფასებებს ბრალდებულების/მსჯავრდებულების მხრიდან გარე სამყაროსთან კომუნიკაციის კუთხით არსებული გამოწვევების შესახებ.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

არსებული ვითარების მიმოხილვის შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ გარე სამყაროსთან კონტაქტის უზრუნველყოფის კუთხით, არსებობს როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას საჭიროებს. კერძოდ:

- მნიშვნელოვანია შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება;
- მნიშვნელოვანია მთელ რიგ დაწესებულებებში (N2, N3, N6, N7, N8, N9, N12, N14, N15, N16, N17, N18, N19) ხანმოკლე პაემნები განხორციელდეს მინის ბარიერის გარეშე, რათა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მიეცეთ მნახველებთან უშუალო კომუნიკაციის უფლება.
- მნიშვნელოვანია ქალ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შეეძლოთ დროის აკუმულირება და გამოუყენებელი ხანმოკლე პაემნის დროის დამატება პაემნის განხორციელებისას, ვინაიდან ხშირად მსჯავრდებული ქალების სახლთან ახლოს განთავსება არსებული ინფრასტრუქტურის გამო ვერ ხერხდება და ოჯახის წევრები ვერ ახერხებენ ხშირად მათ მონახულებას; სამინისტროდან მიღებული პასუხი იმის შესახებ, რომ არ არსებობს სტატისტიკა რამდენი პირის შემთხვევაში მოხდა მათი განთავსება საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში, გვაფიქრებინებს, რომ ამ ფაქტორის გათვალისწინება არ ხდება.
- მიზანშეწონილია არასრულწლოვან მსჯავრდებულებს პაემნის უფლებით სარგებლობა შეეძლოთ უქმე დღეებშიც (ვინაიდან ხშირად სამუშაო დღეებში მათი ახლობლები სამსახურში დაკავებულობის გამო ვერ ახერხებენ მათ მონახულებას).
- მნიშვნელოვანია N18 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის უზრუნველყოფილი იყოს ხანგრძლივი პაემნის ორგანიზება დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის შექმნის საშუალებით.
- ამ ეტაპზე ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არსებობს მხოლოდ შვიდ პენიტენციურ დაწესებულებაში; მნიშვნელოვანია ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა N2, N3, N6, N7, N9, N12, N18 და N19 დაწესებულებებში.
- როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგებიდან ირკვევა, არსებობს სატელეფონო ზარების კონფიდენციალურობის პრობლემა (თუმცა სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტი უარყოფს აღნიშნულ ფაქტს), შესაბამისად დახურული ტიპის დაწესებულებებში უზრუნველყოფილი უნდა იქნას ტელეფონების მოთავსება ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შესაძლებლობა ექნება სატელეფონო ზარი განახორციელოს დაწესებულების თანამშრომლის მიყურადების გარეშე.
- მნიშვნელოვანია ასევე სამარტოო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს მიეცეს სახალხო დამცველთან სატელეფონო ზარის, ასევე ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მიეცეთ ღამის საათებში მათთან დაკავშირების უფლება.

- მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს ბიბლიოთეკების მომარაგება სხვადასხვაენოვანი ლიტერატურით, ასევე სომხურენოვანი და ინგლისურენოვანი არხები ხელმისაწვდომი გახდეს უფრო მეტ დაწესებულებაში.
- მიზანშეწონილია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და ქალებს უფლება მიეცეთ სატელეფონო საუბარი და მიმოწერა იქონიონ სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მეუღლეებთან/პარტნიორებთან/ოჯახის წევრებთან.
- მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც გაუქმდება ტელევიზორისა და რადიომიმღების აკრძალვა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, ასევე დისციპლინურ სახდელდადებულ პატიმრებს არ შეეზღუდებათ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება.

საერთაშორისო სტანდარტები

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, პატიმრებს უნდა მიეცეთ ნებართვა, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით, ასევე ისარგებლონ ამ ადამიანებთან პაემნის უფლებით. კომუნიკაციები და პაემნები შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებსა და მონიტორინგს, რომელიც საჭირო იქნება სისხლის სამართლის გამოძიების გასაგრძელებლად, წესრიგის შესანარჩუნებლად, უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად და სისხლის სამართლის დანაშაულთა აღსაკვეთად, დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად, თუმცა სასამართლო ხელისუფლების მიერ დაწესებული ასეთი შეზღუდვები, უნდა აკმაყოფილებდეს კონტაქტის დასაშვებ მინიმალურ დონეს. ეროვნული კანონმდებლობა უნდა აკონკრეტებდეს ეროვნულ/საერთაშორისო ორგანოებს და თანამდებობის პირებს, რომლებთან კომუნიკაციაც პატიმრებს არ უნდა შეეზღუდოთ. ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს პატიმრებს გარე სამყაროსთან ადეკვატური კონტაქტის შენარჩუნებაში და უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი მხარდაჭერით.

ნებისმიერი ინფორმაცია პატიმრის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სერიოზული ავადმყოფობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პატიმარს. როდესაც გარემოებები იძლევა ამის საშუალებას პატიმარს უფლება უნდა მიეცეს დატოვოს ციხე ან ბადრაგის თანხლებით ან მარტომ, ავადმყოფი ნათესავის მოსანახულებლად, ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში, ან სხვა მიზნით. პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება დაუყოვნებლივ შეატყობინონ თავიანთ ოჯახებს დაპატიმრების, სხვა დაწესებულებაში გადაყვანის, ან სერიოზული დაავადებისა თუ დაზიანების შესახებ. ციხეში პატიმრის მიყვანისას, ასევე პატიმრის გარდაცვალებისას, მისი მძიმე ავადმყოფობის, ან საავადმყოფოში პატიმრის გადაყვანის შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაციამ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის მეუღლეს ან პარტნიორს, ან თუ პატიმარი დაუოჯახებელია, მის უახლოეს ნათესავს ან პატიმრის მიერ დასახელებულ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატიმარმა თვითონ ითხოვა შეუტყობინებლობა. პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი საქმეების შესახებ, ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ინდივიდუალურ შემთხვევაში კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული სასამართლო ხელისუფლების მიერ. პატიმრებს უნდა მიეცეთ მას-მედიასთან ურთიერთობის ნებართვა, თუკი არ არსებობს ასეთი კომუნიკაციის აკრძალვის ანგარიშგასაწევი მიზეზი უსაფრთხოებისა და უშიშროების მოსაზრებიდან გამომდინარე, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესით ან დაზარალებულის თუ სხვა პატიმრების ან პერსონალის დაცვის ინტერესებით.[1]

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილება დროის განსაზღვრულ პერიოდზე და კონკრეტულ შემთხვევებზე, მიუსჯელ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ვიზიტები და იყვნენ უფლებამოსილნი იკონტაქტონ საკუთარ ოჯახთან და სხვა პირებთან ისეთივე წესების დაცვით, როგორც მისჯილმა პატიმრებმა; უნდა გააჩნდეთ დამატებითი ვიზიტები და დამატებითი ხელმისაწვდომობა სხვა სახის კომუნიკაციაზე; უნდა გააჩნდეთ ხელმისაწვდომობა წიგნებზე, გაზეთებსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებზე.[2]

1 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე), მუხლი 24.

2 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე), მუხლი 99.

„მანდელას წესების“ თანახმად, პატიმარს უფლება აქვს, აუცილებელი ზედამხედველობის ქვეშ, დროის რეგულარული შუალედებით ურთიერთობა იქონიოს ოჯახთან და მეგობრებთან წერილობითი გზით, ან თუ ეს შესაძლებელია, ტელეკომუნიკაციის, კომუნიკაციის ელექტრონული, ციფრული და სხვა სახის საშუალებების მეშვეობით, ასევე ვიზიტების (პაემნების) მეშვეობით. სადაც ხანგრძლივი პაემნები ნებადართულია, მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს დისკრიმინაციის გარეშე, ხოლო ქალები ამ უფლებით უნდა სარგებლობდნენ მამაკაცებთან გათანაბრებული პირობებით. ვიზიტის განხორციელებისთვის საჭიროა, არსებობდეს დადგენილი პროცედურები, ხოლო ვიზიტებისთვის გათვალისწინებული შენობა უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიან და თანაბარ ხელმისაწვდომობას, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვით.[3]

პატიმრების განთავსება შეძლებისდაგვარად უნდა ხდებოდეს მათ საცხოვრებელთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან ახლოს. ციხის ტერიტორიაზე მნახველთა დაშვება დამოკიდებულია შემოწმების გავლასთან დაკავშირებით მათ თანხმობაზე. მნახველს შეუძლია ნებისმიერ მომენტში შეცვალოს გადაწყვეტილება და უარი თქვას შემოწმების გავლაზე. ასეთ შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, უარი უთხრას მას ციხის ტერიტორიაზე დაშვებაზე. მნახველთა დაშვების პროცედურები და შემოწმება არ უნდა იყოს დამამცირებელი. მაქსიმალურად უნდა იქნეს არიდებული სხეულის სიღრმისეული შემოწმება და იგი არ უნდა გამოიყენებოდეს ბავშვების მიმართ.[4]

ნებისმიერი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი შესაძლებლობით კომუნიკაცია და კონსულტაციები იქონიოს დამცველთან დაყოვნების, მოსმენისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალობის დაცვით და მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. კონსულტაციები შესაძლოა, მიმდინარეობდეს ციხის ადმინისტრაციის მხედველობის არეში, მაგრამ არა სმენის ფარგლებში. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პატიმარი არ ლაპარაკობს ადგილობრივ ენაზე, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, უზრუნველყოს დამოუკიდებელი და კომპეტენტური თარჯიმნის მომსახურება. როგორც სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან მოწოდებულ წერილშია აღნიშნული, იმ ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის, რომლებიც არ ფლობენ სახელმწიფო ენას, ხელმისაწვდომია შესაბამისი ენის სპეციალისტის უფასო მომსახურება, თუმცა კითხვაზე რომელი ენის მცოდნე პირები და რომელ დაწესებულებებშია ხელმისაწვდომი, ინფორმაციის მოწოდება არ განხორციელებულა.

უცხოელ პატიმრებს უნდა შეექმნათ პირობები მათი ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის. პატიმრებს, რომლებიც ისეთი ქვეყნებიდან არიან, რომელთაც არ გააჩნათ დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, აგრეთვე ლტოლვილებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, უნდა ეძლეოდეთ კონტაქტების ასეთივე საშუალება იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან, რომელიც თავის თავზე იღებს მათი ინტერესების დაცვას ან ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლის ფუნქციებშიც შედის ასეთი პირობების დაცვა.[5]

პატიმრებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ რეგულარულად გაეცნონ ახალი ამბების ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტს, გაზეთების, პერიოდული ან სპეციალური საუწყებო პუბლიკაციების, რადიოს, ლექციების ან სხვა ისეთი საშუალებებით, რომლებიც ნებადართული და კონტროლირებადია ადმინისტრაციის მიერ. ყოველ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ბიბლიოთეკა, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა კატეგორიის პატიმრის მოთხოვნებს. ის უნდა იყოს ადეკვატურად მომარაგებული როგორც მხატვრული, ისე სპეციალური ლიტერატურით.[6]

იმ დაწესებულებებში, სადაც საკმარისი რაოდენობით არიან ერთი სარწმუნოების პატიმრები, უნდა დაინიშნოს იმ კულტის კვალიფიციური მსახური, ან მიეცეს შესაბამისი რიტუალების ჩატარების უფლება. თუ ამგვარი პატიმრების რიცხვი საკმაოდ დიდია და არსებობს შესაძლებლობა, ასეთი კულტის მსახური უნდა დაინიშნოს სრული განაკვეთით. კულტის მსახურს, რომელიც დაინიშნება ან დაშვებული იქნება დაწესებულებაში უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ჩაატაროს რელიგიური რიტუალები და ამისთვის გამოყოფილ დროს, რელიგიურ თემებზე სასაუბროდ პერიოდულად განმარტოებით შეხვდეს მისი სარწმუნოების წარმომადგენელ პირებს. არ შეიძლება პატიმრების შეზღუდვა ნებისმიერი სარწმუნოების კვალიფიციურ წარმომადგენელთან ურთიერთობაში. მეორეს მხრივ, თუ პატიმარი აპროტესტებს კულტის მსახურის ვიზიტებს, მისი პოზიცია სრული პატივისცემით უნდა იქნას აღქმული. შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს თავისი რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება. მას უნდა შეეძლოს დაწესებულების შიგნით რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა და გააჩნდეს საჭირო რელიგიური ლიტერატურა.[7] სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, ეროვნული და სოციალური კუთვნილებისა, აქვთ საშუალება სურვილისამებრ შეხვდნენ სხვადასხვა რელიგიის/კულტის წარმომადგენლებს. მათი განცხადებით, პენიტენციურ დაწესებულებებში 2014-2018

3 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 58.

4 იქვე, წესი 59-60.

5 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 61-62.

6 იქვე, წესი 63-64.

7 იქვე, წესი 65-66.

წლებში ვიზიტს ახორციელებდნენ სხვადასხვა რელიგიის/კულტის წარმომადგენლები. თუმცა 2014-2018 წლების დეტალური სტატისტიკა გადმოგზავნილი არ ყოფილა (არ მუშავდება).

„განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს. პატიმრობის დასაწყისიდანვე საჭიროა მომავალზე ფიქრი, რომელიც ელის პატიმარს ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ამიტომ მას უნდა გაეწიოს დახმარება იმ პირებთან და უწყებებთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და გამყარებაში, რომლებიც ციხის გარეთ არიან, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მისი ოჯახის ინტერესები და ხელი შეუწყონ მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას გათავისუფლების შემდეგ.“[8]

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, მიმოწერა, სატელეფონო ზარები და პაემნები მაქსიმალური სიხშირითა და პრივატულობის სრული დაცვით უნდა იქნას დაშვებული. თუ არსებობს გარკვეული საფრთხე, ან რისკის შეფასება იძლევა საფუძველს, შესაძლებელია ამ კონტაქტების განხორციელებას ახლდეს გარკვეული უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება, როგორიც არის მაგალითად მიმოწერის მონიტორინგი ან პაემანზე შემომსვლელ პირთა შემოწმება როგორც შემოსვლისას, ასევე გასვლისას. ხელი უნდა შეეწყოს ასევე გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა გაზეთებზე, რადიოსა და ტელევიზორზე, გარედან შემომსვლელ პირებთან კომუნიკაციაზე ხელმისაწვდომობა. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნას გაწეული ციხიდან ხანმოკლე გასვლის სხვადასხვა ფორმების გამოყენებისთვის.[9]

ქალი მსჯავრდებულების კონტაქტი გარე სამყაროსთან

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ თავიდან იქნას აცილებული ქალი მსჯავრდებულების სოციალური იზოლაცია. უვადო პატიმრობა მისჯილ დედებს არ უნდა აეკრძალოთ მცირეწლოვანი ბავშვების თავისთან ყოლა მხოლოდ მათი სასჯელის გამო.[10]

ქალთა დაწესებულებების სიმცირის გამო, ხშირად ქალი მსჯავრდებულები განთავსებულნი არიან თავიანთი სახლებიდან შორს, რაც უარყოფითად აისახება მათ კონტაქტზე ოჯახთან და მეგობრებთან. ყველა პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა შეინარჩუნოს ურთიერთობა ოჯახთან და მეგობრებთან, მეუღლეებთან/პარტნიორებთან და ბავშვებთან. ამგვარი ურთიერთობების შენარჩუნება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაციისათვის. წამყვანი პრინციპი უნდა იყოს გარე სამყაროსთან კონტაქტების მაქსიმალურად წახალისება.[11] მაგალითად, ღია ვიზიტები, სადაც დაშვებულია ფიზიკური კონტაქტი მეგობრებთან და განსაკუთრებით ბავშვებთან და პარტნიორებთან უნდა წარმოადგენდეს ნორმას. ასეთი უშუალო კონტაქტის შეუძლებლობა ყოველთვის კარგად უნდა იყოს არგუმენტირებული და ეფუძნებოდეს პოტენციური ინდივიდუალური რისკის შეფასებას.[12]

ქალებს უნდა ეძლეოდეთ მეუღლეებთან შეხვედრის შესაძლებლობა მამაკაცების მსგავსად. მეუღლესთან/პარტნიორთან/მეგობართან შეხვედრა შესაძლებელი უნდა იყოს მაშინაც, თუ ეს უკანასკნელიც მსჯავრდებულია და იმყოფება იმავე ან სხვა დაწესებულებაში.[13]

ვინაიდან ქალების კონტაქტს მათ ოჯახთან და შვილებთან განსაკუთრებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარისთვის, დაწესებულებებმა უნდა წაახალისონ ქალების კონტაქტი შვილებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. შესაძლებელი უნდა იყოს ვიზიტების დროის აკუმულირება და თუ ვიზიტები იშვიათად შედგება, შესაძლებელი უნდა იყოს უფრო ხანგრძლივი ვიზიტის განხორციელება. შესაძლებელია ფინანსური დახმარება გაეწიოთ იმ ქალებს, რომლებსაც არ აქვთ ოჯახებთან კავშირის შენარჩუნების მატერიალური შესაძლებლობა.[14]

ქალი პატიმრებისა და მსჯავრდებულების გარე სამყაროსთან კონტაქტის საკითხს ეხება „ბანგკოკის წესებიც“, რომელიც ასევე ხაზს უსვამს, რომ ქალი პატიმრების კონტაქტი მათ ოჯახებთან, მათ შორის შვილებთან, მათი შვილების მეურვეებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან უნდა წახალისდეს და ხელი

8 იქვე, წესი 106-107.

9 ევროსაბჭოს მინისტრათა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23 უვადო და ხანგრძლივვადიანი პატიმრების დაწესებულების ადმინისტრირების შესახებ (მირებული იქნა 2003 წლის 9 ოქტომბერს მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა მოაადგილეების 855-ე შეხვედრაზე, პ. 29-30.

10 ევროსაბჭოს მინისტრათა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23 უვადო და ხანგრძლივვადიანი პატიმრების დაწესებულების ადმინისტრირების შესახებ (მირებული იქნა 2003 წლის 9 ოქტომბერს მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა მოაადგილეების 855-ე შეხვედრაზე. პ. 29-30.

11 წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაცია ციხეში მყოფ ქალებთან დაკავშირებით, მუხლი 64.

12 იქვე, მუხლი 65.

13 იქვე, მუხლი 66-67.

14 იქვე, მუხლი 68-72.

შეეწყოს ყველა შესაძლო საშუალებით. შესაძლებლობის ფარგლებში, მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ საცხოვრებელი ადგილიდან შორს განთავსებით გამოწვეული არახელსაყრელი პირობები ქალებისთვის გაწონასწორდეს და გამოსწორდეს.[15]

სადაც მეუღლესთან პაემნები დაშვებულია, პატიმარ ქალებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ გამოიყენონ ეს უფლება მამაკაც პატიმრებთან თანაბარ პირობებში. პაემნები, რომლებშიც ბავშვებიც იღებენ მონაწილეობას, უნდა ჩატარდეს ისეთ გარემოში, რომელიც ხელს შეუწყობს შეხვედრის დადებითად წარმართვას. გარემოში ასევე იგულისხმება თანამშრომელთა დამოკიდებულება და დედასა და ბავშვს შორის ღია და შეუზღუდავი კონტაქტი. შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი უნდა შეეწყოს ბავშვთან გახანგრძლივებულ კონტაქტს.[16]

არასრულწლოვანი მსჯავრდებულების კონტაქტი გარე სამყაროსთან

არასრულწლოვნები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ადეკვატური განათლებით, მშობლებთან და ოჯახთან კონტაქტების შენარჩუნების უფლებით, ადეკვატური ემოციური განვითარების შესაძლებლობით და ა.შ.[17]

გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება განსაკუთრებით სასარგებლო და მნიშვნელოვანია თავისუფლებააღკვეთილი არსრულწლოვნებისთვის, რომელთა უმრავლესობას შესაძლოა ახასიათებდეს ქცევითი, ემოციური პრობლემები ან სოციალური უნარების ნაკლებობა. ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, რომ არასრულწლოვნებს დაკავების მომენტიდან მიეცეთ ამგვარი შესაძლებლობა. ოჯახის განმარტება ლიბერალური მიდგომით უნდა მოხდეს, აქ უნდა მოიაზრებოდნენ ის პირებიც, რომლებთანაც არასრულწლოვანს აქვს ოჯახის მსგავსი ტიპის ურთიერთობა, მაშინაც როდესაც ამგვარი კავშირი ფორმალიზებული არ არის. სოციალური კავშირების შესანარჩუნებლად არასრულწლოვნებს რეგულარულად უნდა ეძლეოდეთ გარკვეული პერიოდით დაწესებულების დატოვების შესაძლებლობა მარტო ან ბადრაგის თანხლებით. არასრულწლოვნები უნდა სარგებლობდნენ ვიზიტებით ყოველკვირეულად ერთ საათზე მეტი ვადით, მათ უნდა ჰქონდეთ უქმე/არასამუშაო დღეებში (შაბათ-კვირას) ვიზიტების მიღების შესაძლებლობა. როგორც წესი, მოკლევადიანი პაემანი ბარიერის გარეშე/ღიად უნდა მიმდინარეობდეს. ხანგრძლივვადიანი ვიზიტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნებისა და არასრულწლოვნის საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის.[18]

ყველა არასრულწლოვანს, წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა ჩათვლით, უნდა ჰქონდეს ხშირი მიმოწერისა და სატელეფონო კავშირების უფლება. თუ არსებობს გარკვეული რისკები უსაფრთხოების კუთხით, კონკრეტული წერილი ან სატელეფონო ზარი შესაძლოა გაკონტროლდეს და აიკრძალოს გამონაკლისი სახით. ყველა ამგვარი შეზღუდვა უნდა განხორციელდეს რისკის შეფასების საფუძველზე და გაგრძელდეს მხოლოდ განსაზღვრული დროით.[19]

არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ საკუთარ ოჯახთან, სხვა ადამიანებთან და გარეშე ორგანიზაციებთან შეუზღუდავი მიმოწერის, მათთან რაც შეიძლება ხშირი სატელეფონო ან სხვა სახის კომუნიკაციის უფლება ისევე, როგორც ამ პირების მიერ მათი მონახულების უფლება. მნახველების მიღება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ არასრულწლოვანს შეეძლოს შეინარჩუნოს და განავითაროს ჩვეულებრივი ოჯახური ურთიერთობები და ჰქონდეს სოციალური რეინტეგრაციის შესაძლებლობა. დაწესებულების ხელმძღვანელობა უნდა დაეხმაროს არასრულწლოვანს გარე სამყაროსთან ადეკვატური ურთიერთობის დამყარებაში და მოამარაგოს ისინი ამისათვის საჭირო აუცილებელი საშუალებებით. კომუნიკაცია და მონახულება შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვასა და მონიტორინგს მიმდინარე გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ისევე როგორც წესრიგის დამყარების, უსაფრთხოებისა და დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის მიზნით, მაგრამ შეზღუდვები, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების განკარგულებით შემოღებული კონკრეტული შეზღუდვები, მაინც უნდა იძლეოდეს მინიმალურად დასაშვები კონტაქტების საშუალებას. ნებისმიერი ინფორმაცია ახლო ნათესავის გარდაცვალების ან მძიმე ავადმყოფობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს არასრულწლოვანს. ნორმალური რეჟიმის ფარგლებში არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ, თანხლებით

15 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 26.

16 იქვე, წესი 27-28.

17 ევროსაბჭოს მინისტრათა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23 უვადო და ხანგრძლივვადიანი პატიმრების დაწესებულების ადმინისტრირების შესახებ (მირებული იქნა 2003 წლის 9 ოქტომბერს მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა მოაადგილეების 855-ე შეხვედრაზე. მუხლი 31.

18 წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფარგლებში თავისუფლება აღკვეთილ არასრუწლოვანებთან დაკავშირებით. (ამონარიდი წპკ-ს 2005 წლის 24-ე ზოგადი ანგარიშიდან, რომელიც გამოქვეყნდა 2015 წელს). მუხლი 123.

19 იქვე, მუხლი 124.

ან მის გარეშე, დაწესებულებიდან რეგულარული გასვლის უფლება.[20] თუ რეგულარული გასვლები პრაქტიკულად შეუძლებელია, მაშინ გათვალისწინებული უნდა იქნეს ოჯახის წევრების ან სხვათა მიერ უფრო ხშირი ან უფრო გრძლევადიანი მონახულების პირობები, რაც დაეხმარება არასრულწლოვნის განვითარებას.[21]

როგორც უკვე აღინიშნა, ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული არასრულწლოვნის გარე სამყაროსთან ურთიერთობის უზრუნველსაყოფად, რაც წარმოადგენს სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის განუყოფელ ნაწილს და აუცილებელია არასრულწლოვნის საზოგადოებაში დაბრუნებისთვის მომზადების პროცესში.[22]

პაემნის დროს დაცული უნდა იყოს პრივატულობა და ოჯახთან შეუფერხებელი კომუნიკაცია. ნებისმიერ არასრულწლოვანს უნდა შეეძლოს წერილობითი ან სატელეფონო საშუალებით კომუნიკაცია სულ მცირე კვირაში ორჯერ, ასევე უნდა შეეძლოს კორესპონდენციის მიღება.[23] არასრულწლოვნებს აქვთ უფლება მუდმივად ეცნობოდნენ გაზეთებს და სხვა პერიოდულ გამოცემებს, მიიღონ ინფორმაცია რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, შეხვდნენ იმ ორგანიზაციის ან კლუბების წარმომადგენლებს (კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედ ორგანიზაციებს), რომელთა საქმიანობითაც არიან დაინტერესებულნი.[24]

ბრალდებულის უფლებები

რაც შეეხებათ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს, წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს უნდა ჰქონდეთ ოჯახთან და სხვა პირებთან კომუნიკაციის უფლება (მიმოწერის, ვიზიტების, ტელეფონის საშუალებით), ისევე როგორც მისჯილ პირებს. ყველას უნდა ჰქონდეს სულ მცირე კვირაში ერთხელ ერთი საათი პაემნისა და მინიმუმ კვირაში ერთხელ დარეკვის შესაძლებლობა.[25]

წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ ზოგ ქვეყანაში პატიმრებს ეკრძალებოდათ სატელეფონო ზარები ან შეხვედრები დაშვებული იყო მხოლოდ გამყოფ შუშის ბარიერს მიღმა. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ამგვარი აკრძალვის ყველას მიმართ გამოყენება მიუღებელია და შესაძლებელია დაწესდეს მხოლოდ სრულყოფილი ინდივიდუალური რისკის შეფასების საფუძველზე. კომიტეტი ასევე გაუმართლებლად მიიჩნევს ვიზიტების ან ზარების განსახორციელებლად მოსამართლის ან პროკურორის თანხმობის საჭიროებას, რადგან გარე სამყაროსთან კომუნიკაცია არ საჭიროებს სასამართლო ავტორიზაციას. ნებისმიერი აკრძალვა, გამოწვეული უნდა იყოს გამოძიების სპეციფიური საჭიროებით, დამტკიცდეს სასამართლოს მიერ და გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ დროის სპეციფიურ მონაკვეთში. თუ არსებობს განგრძობითი საფრთხე, ვიზიტებს შესაძლოა გაეწიოს მონიტორინგი.[26]

ადგილობრივი კანონმდებლობა

პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერა აკრძალულია. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე შემოსული წერილის მისთვის ჩაბარებას, აგრეთვე ბრალდებულის/მსჯავრდებულის წერილის ადრესატისთვის გაგზავნას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულება. პირადი ხასიათის კორესპონდენცია ადრესატს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხარჯით ეგზავნება. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს იგი საწერი საშუალებითა და ქაღალდით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია მოწმდება. შემოწმება მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ

20 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 83-85.

21 იქვე, წესი 86.

22 გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრუწლოვანთა დაცვის შესახებ მიღებული გენერალური ასამბლეის 2990 წლის დეკემბრის 45/113 რეზოლუციით, მუხლი 59.

23 გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრუწლოვანთა დაცვის შესახებ მიღებული გენერალური ასამბლეის 2990 წლის დეკემბრის 45/113 რეზოლუციით მუხლი 60-61.

24 იქვე გვ 66.

25 წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაცია წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებთან დაკავშირებით (ამონარიდი 2017 წელს გამოქვეყნებული 26-ე საერთო ანარიშიდან). მუხლი 59.

26 იქვე მუხლი 60-61.

უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურე უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა. შეზღუდვის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს. დახურული კონვერტით მიღებული კორესპონდენცია უნდა გაიხსნას ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანდასწრებით. პენიტენციურ დაწესებულებას ეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, ადვოკატი, პროკურორი, სამინისტროს ადგილობრივი საბჭო.[27]

აკრძალულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული იზოლაცია. ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს თავის ახლო ნათესავებთან (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობა/მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება. პენიტენციური დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობით, წახალისების ფორმით ბრალდებულს/მსჯავრდებულს დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით, შეიძლება მიეცეს იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლება, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნულ პირებთან ბრალდებულის/მსჯავრდებულის ურთიერთობის კონტროლი ხორციელდება მისი პატივისა და ღირსების შეულახავად. ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შეხვედრა ხორციელდება მისი თანხმობის შემთხვევაში. ხანმოკლე პაემნის მოთხოვნის თაობაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ინფორმაცია მიეწოდება წერილობით. პაემანზე შემსვლელი პირი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს წარუდგენს ახლო ნათესაობის დამადასტურებელ დოკუმენტს. პენიტენციური დაწესებულება ხანმოკლე პაემნის მოთხოვნის თაობაზე განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა უზრუნველყოფს ხანმოკლე პაემნის ორგანიზებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უარის თქმის მოტივირებული საფუძველი, რის თაობაზეც განმცხადებელი იმავე დღეს უნდა იქნეს ინფორმირებული. ხანმოკლე პაემანი ეწყობა ერთიდან ორ საათამდე ვადით. ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლის ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობით, მაგრამ მოსმენის გარეშე. ამის თაობაზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის და მასთან ხანმოკლე პაემნის მსურველი პირის წინასწარ გაფრთხილება სავალდებულოა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, #2,#3,#6,#7,#8,#9,#12,#14,#17,#18 და #19 დაწესებულებებში ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს მინის გამყოფ ბარიერს მიღმა, ხოლო #5,#11 და #16 დაწესებულებებში მინის გამყოფი ბარიერის გარეშე. დეპარტამენტიდან გადმოგზავნილი ინფორმაციის მიხედვით, ხანმოკლე პაემნების განხორციელების სტატისტიკა 2014-2018 წლებში ასე გამოიყურება:

წლები	პენიტენციური დაწესებულებები														
	#2	#3	#5	#6	#7	#8	#9	#11	#12	#14	#15	#16	#17	#18	#19
2014	6235	277	1374	2479	350	7530	552	909	1690	2940	7919			35	579
2015	7923	450	1610	522	510	8726	428	653	1575	3286	7290		9659	223	415
2016	4789	560	2012	1281	135	9144	265	225	1581	2607	5833	202	9283	322	305
2017	4955	135	1887	947	114	9654	314	205	1543	2438	4979	1175	7774	442	193
2018 ივლისი	2675	78	1106	368	44	20	220	119	706	1095	2554	331	3914	249	105

ბრალდებული სარგებლობს მხოლოდ ხანმოკლე პაემნის უფლებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ბრალდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შეიძლება ხანმოკლე პაემანი შეეცვალოს სატელეფონო საუბრით. მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება შეეცვალოს ხანმოკლე პაემნით, ხოლო ხანმოკლე პაემანი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება – სატელეფონო საუბრით. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, ამ კოდექსით განსაზღვრული რაოდენობის პაემნების გარდა, წახალისების ფორმით

27 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 16.

შეიძლება მიეცეს საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლება დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით. ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება აგრეთვე მიეცეს იმ პირთან საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლება, რომელიც გათვალისწინებული არ არის ახლო ნათესავთა ჩამონათვალში.[28]

პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს (გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა და განსაკუთრებით საშიში პირებისა, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა და მათ გარშემომყოფთა უსაფრთხოებას) უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით (პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდით) ნებისმიერ პირთან. ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება მსჯავრდებულს ეზღუდება დისციპლინური სახდელის მოხდის, დისციპლინური პატიმრობის ან პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებისა და კრიზისული ვითარების პერიოდში. მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის ორგანიზებას მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულება, ხოლო პენიტენციური დაწესებულების გარეთ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. მსჯავრდებული ვიდეოპაემნით სარგებლობს საფასურის გადაუხდელად. გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პენიტენციური დაწესებულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ახორციელებენ მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის ვიზუალურ ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას, მაგრამ მოსმენის გარეშე. ამის თაობაზე მსჯავრდებულის და მასთან ვიდეოპაემნის მსურველი პირის წინასწარ გაფრთხილება სავალდებულოა.[29] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მეშვეობით უზრუნველყოფს ვიდეოპაემნის უფლებით მოსარგებლე მსჯავრდებულებისათვის შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებებ ით აღჭურვილი პუნქტების მოწყობას დაწესებულებაში. მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის მსურველი პირების რეგისტრაციას, შესაბამისი გრაფიკის შედგენას, განსაზღვრული დაწესებულებების შესაბამის ინფორმირებას, ვიდეოპაემნის გამართვის პროცესის კოორდინაციასა და მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის მსურველ პირთა მიღება-დაკავშირებას უზრუნველყოფს პრობაციის ეროვნული სააგენტო.[30]

ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია ათი კალენდარული დღის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. მსჯავრდებულებს წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეთ დამატებითი ვიდეოპაემანი. ქალ მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია 10 კალენდარული დღის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში დამატებით ერთხელ, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე; არასრულწლოვან მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია 1 თვის განმავლობაში, არაუმეტეს ოთხჯერ, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში დამატებით ორჯერ, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდა ნ 18:00 საათამდე. ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება მსჯავრდებულს ეზღუდება დისციპლინური სახდელის მოხდის, დისციპლინური პატიმრობის ან პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებისა და კრიზისული ვითარების პერიოდში.

მსჯავრდებულთან ერთჯერადი ვიდეოპაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუ თს. ვიდეოპაემანი შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს: მსჯავრდებულის სურვილის საფუძველზ ე უსაფრთხოების დაცვის მიზნით.[31] სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია #5,#8,#11,#14,#15,#16,#17 პენიტენციურ დაწესებულებებში. იხ.ვიდეოპაემნების სტატისტიკა:

წლები	პენიტენციური დაწესებულებები						
	#5	#8	#11	#14	#15	#16	#17
2014	9	0	0	0	106	-	0
2015	12	0	0	0	100	0	0
2016	23	0	0	0	96	4	0
2017	108	185	2	916	777	63	932
2018	79		6	658	776	52	801

28 იქვე, მუხლი 17.

29 იქვე, მუხლი 17[1].

30 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №55 მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესი, მ 1.

31 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №55 მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესი, მ 3.

#8 დაწესებულებაში ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოეწყო 2017 წელს, შესაბამისად, ამ დროიდან დღემდე ვიდეოპემნით ისარგებლა 1852 მსჯავრდებულმა, #11 დაწესებულებაში, როგორც ცხრილიდან ჩანს 2014-2016 წლებში ვიდეოპაემანი არ ხორციელდებოდა, #14 დაწესებულებაში ვიდეოპაემნით სარგებლობა შესაძლებელია 2017 წლის მარტიდან, #16 დაწესებულებაში (გაიხსნა 2015 წელს) 2016 წლიდან, ხოლოდ #17 დაწესებულებაში 2017 წლიდან.

ხანგრძლივი პაემანი არის მსჯავრდებულის შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან და ძმასთან ერთად ცხოვრება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, მსჯავრდებულის ან ზემოთ ჩამოთვლილ პირთა ხარჯით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების წარმომადგენლის დაუსწრებლად. ხანგრძლივი პაემნის საფასური ძირითადად ხმარდება მისი მიზნების განხორციელებასა და ფუნქციების შესრულებას. ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობა შეიძლება განხორციელდეს საფასურის გადაუხდელად, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით. ხანგრძლივი პაემნის მოთხოვნის თაობაზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი წერილობით უნდა იქნეს ინფორმირებული არანაკლებ 2 კვირით ადრე. ზემოთ ჩამოთვლილმა პირებმა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს უნდა წარუდგინონ ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ხანგრძლივი პაემნის მოთხოვნის თაობაზე განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა უზრუნველყოფს ხანგრძლივი პაემნის ორგანიზებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უარის თქმის მოტივირებული საფუძველი, რის თაობაზეც განმცხადებელი 10 დღის ვადაში უნდა იქნეს ინფორმირებული. ხანგრძლივი პაემანი გრძელდება არაუმეტეს 23 საათისა. მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით, კუთვნილი ხანგრძლივი პაემანი წელიწადში ერთხელ შეიძლება გაუგრძელდეს არაუმეტეს 47 საათამდე. ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა: ა) საკარანტინო რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულს; ბ) მსჯავრდებულს, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა ან მოთავსებულია სამარტოო საკანში. ხანგრძლივი პაემნის უფლების მიცემის საკითხს წყვეტს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი. ხანგრძლივი პაემნის უფლების მიცემაზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის თანხმობა ან მოტივირებული უარი მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება. ხანგრძლივი პაემნის შეცვლა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით, ხანმოკლე პაემნით ან სატელეფონო საუბრით დაუშვებელია. ხანგრძლივი პაემნისათვის სპეციალურად გამოყოფილი ოთახის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.[32] ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა ხორციელდება მსჯავდებულის ან სტუმრის ხარჯზე უნაღდო ანგარიშსწორებით. თითოეული ხანგრძლივი პაემნის საფასურის ოდენობა განისაზღვრება 60 ლარით, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში - 30 ლარით. თუ მსჯავრდებულს ხანგრძლივი პაემანი ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაუგრძელდა არაუმეტეს 47 საათისა, ამ შემთხვევაში ხანგრძლივი პაემნის საფასურის ოდენობა განისაზღვრება 120 ლარით, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში – 60 ლარით. ხანგრძლივი პაემნის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს პაემნის განხორციელებამდე. სტუმრებისათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის გადახდას უზრუნველყოფს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.[33]

ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არსებობს #2, #3,#5,#6,#7,#8,#11,#12,#14,#15, #16,#17 პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე. #18 (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება) და #19 (ტუბერკულიოზის სარეაბილიტაციო ცენტრი) დაწესებულებებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არის, თუმცა დეპარტამენტის განმარტებით, მსჯავრდებული პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით შესაძლებელია დროებით გადაიყვანონ იმ დაწესებულებაში, სადაც შესაძლებელია ხანგრძლივი პაემნის განხორციელება. იხ.2014-2018 წლებში ხანგრძლივი პაემნების სტატისტიკა პენიტენციური დაწესებულებების მიხედვით:

წლები	პენიტენციური დაწესებულებები														
	#2	#3	#5	#6	#7	#8	#9	#11	#12	#14	#15	#16	#17	#18	#19
2014	704	31	0	339		0	0	19	73	722	1562	0	0	0	0
2015	886	43	2	67		0	0	29	208	1003	1716	0	1808	0	0
2016	549	31	58	157		168	16	4	208	893	1682	230	1610	0	10
2017	543	29	71	236		494	30	0	200	1069	2296	634	2090	0	10
2018 ივლისი	307	11	42	99	1	244	28	2	103	403	1100	295	1080	0	5

32 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 17^2.

33 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №132 2014 წლის 22 ივლისი ქ. თბილისი მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ, მ 4.

აქედან #18 და #19 დაწესებულებებს არ გააჩნიათ ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება #9 დაწესებულებას, ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა მოეწყო 2016 წლიდან, #8 დაწესებულებაში 2018 წლის ივლისის თვიდან, მანამდე ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისთვის მსჯავრდებულები გადაყავდათ იმ პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ფუნქციონირებდა ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

საოჯახო პაემანი არის ქალი მსჯავრდებულის ამ მუხლის მე-2 ნაწილით (ახლო ნათესავი) განსაზღვრულ პირებთან შეხვედრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ქალ მსჯავრდებულს მისი წერილობითი მოთხოვნით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან, ძმასთან საოჯახო პაემნის უფლება. ქალ მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით, წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეს იმ პირთან საოჯახო პაემნის უფლება, რომელიც ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არ არის. საოჯახო პაემნის მოთხოვნით მსჯავრდებული წერილობით მიმართავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს საოჯახო პაემნის განხორციელებამდე 10 დღით ადრე. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულმა პირმა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს უნდა წარუდგინოს ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მიმართვის მიღებიდან 5 დღის ვადაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი დეპარტამენტის დირექტორს მიმართავს შუამდგომლობით საოჯახო პაემნის განხორციელების თაობაზე ან მსჯავრდებულს წერილობით აცნობებს მოტივირებულ უარს საოჯახო პაემნის განხორციელებაზე. შუამდგომლობის მიღებიდან 3 დღის ვადაში დეპარტამენტის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას საოჯახო პაემნის განხორციელებაზე თანხმობის ან უარის თქმის შესახებ. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება საოჯახო პაემნის უფლების მიცემაზე დეპარტამენტის დირექტორის თანხმობის მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღისა უზრუნველყოფს საოჯახო პაემნის ორგანიზებას, რის თაობაზეც აცნობებს განმცხადებელს. საოჯახო პაემანი გრძელდება არა უმეტეს 3 საათისა. საოჯახო პაემნის უფლების მიცემაზე დეპარტამენტის დირექტორის თანხმობა ან მოტივირებული უარი მსჯავრდებულს წერილობით უნდა ეცნობოს. საოჯახო პაემნისთვის სპეციალურად გამოყოფილი ოთახის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში საოჯახო პაემნის უფლების განხორციელების პირობებსა და წესს განსაზღვრავს მინისტრი.[34] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციური დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დღემდე ქალ პატიმრებს აღნიშნული უფლებით არ უსარგებლიათ.

ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს თავის დამცველთან ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე შეხვედრის უფლება. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელს შეუძლია ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დამცველთან შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე. ბრალდებულს/ მსჯავრდებულს შეუძლია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით.[35]

პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის სატელეფონო საუბარი აკრძალულია. სატელეფონო საუბარი ხორციელდება ბრალდებულის/ მსჯავრდებულის ხარჯითა და პენიტენციური დაწესებულების კონტროლით. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიიღოს ან გაუგზავნოს ამანათი და ფულადი გზავნილი უნაღდო ანგარიშსწორებით ახლო ნათესავს, ხოლო პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ნებართვით – სხვა პირს. მიღებული ფულადი გზავნილი ბრალდებულს/მსჯავრდებულს ნაღდი ფულის სახით არ გადაეცემა და გამომგზავნს უბრუნდება.[36] სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ტელეფონები დაწესებულებების მიხედვით, სხვადასხვა ადგილას არის განთავსებული, კერძოდ:

34 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 17^3.
35 იქვე, მუხლი 18.
36 იქვე, მუხლი 19.

დაწესებულება #	ტელეფონების განთავსების ადგილები
2	საცხოვრებელი კორპუსის სართულებზე სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში
3	სასეირნო ეზოებში
5	საცხოვრებელ კორპუსებში და ეზოებში
7	საცხოვრებელი კორპუსის სართულებზე სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში
8	სარეჟიმო კორპუსების ფლიგელებში
9	ადვოკატებთან შეხვედრის ოთახებში
11	მსჯავრდებულთა საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე
12	საცხოვრებელი კორპუსების დერეფნებში
14	კორპუსებში და სასეირნო ეზოებში
15	კორპუსისა და სამედიცინო პუნქტის ეზოში, სამარტოო საკნებისთვის განკუთვნილ შენობაში
16	საცხოვრებელ კორპუსში და ეზოში
17	საცხოვრებელ კორპუსებში
18	სასეირნო ოთახებში
19	საცხოვრებელ კორპუსებში

ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს პრესის გაცნობის უფლება. პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორც წესი, ხდება რადიო და ტელეტრანსლაცია. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, გარდა იმ ბრალდებულისა/მსჯავრდებულისა, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა ან/და მოთავსებულია სამარტოო საკანში, შეიძლება მიეცეს სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, რადიო-ტრანსლაციის მოსმენისა და ტელე-ტრანსლაციის ნახვის უფლება. პატიმრობის დაწესებულებაში, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯგუფს, დაწესებულების დირექტორის თანხმობით, შეიძლება მიეცეს პირადი რადიომიმღების ან/და ტელევიზორის შეძენის უფლება, თუ მათი გამოყენებით არ ირღვევა ამ დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიმშვიდე. ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა ან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯგუფმა აღნიშნული ტექნიკა შეიძლება შეიძინოს საკუთარი ხარჯით, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს ან მსჯავრდებულთა ჯგუფს უფლება აქვს, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში შეიძინოს პირადი რადიომიმღები ან/და ტელევიზორი, თუ მათი გამოყენებით არ ირღვევა ამ დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა მსჯავრდებულთა სიმშვიდე. დებულების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაცია უფლებამოსილია ჩამოართვას ბრალდებულს/მსჯავრდებულს ტექნიკა და გადასცეს მის ახლო ნათესავს. ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, მიიღოს საწერი საშუალებები, გარდა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული აკრძალული ნივთებისა.[37] პენიტენციური დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი პერიოდული გამოცემები, ჟურნალები, გაზეთები, კროსვორდები, რომლის განახლება ხდება სისტემატურად. თუმცა კონკრეტულად რა პერიოდულობითა და რაოდენობით ხდება პრესის მიწოდება, პენიტენციურ დეპარტამენტს, მიუხედავად კონკრეტული შეკითხვისა, პასუხი არ გაუცია. რაც შეეხება ტელევიზიას, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ქართულენოვანი და რუსულენოვანი არხები ხელმისაწვდომია ყველა დაწესებულებაში, დამატებით თურქულ და აზერბაიჯანულენოვანი არხები ხელმისაწვდომია #2, #3, #5, #8, #14,#12,#15,#16,#17,#18,#19 დაწესებულებებში. სომხურენოვანი არხი ხელმისავწდომია #8, #12 და #18 დაწესებულებებში, ხოლო არაბულენოვანი არხი - #8 და #18 დაწესეულებებში. ინგლისურენოვანი არხის ყურება მხოლოდ #9 დაწესებულებაში შესაძლებელი (BBC).

დეპარტამენტიდან ასევე გვეცნობა, რომ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში მოქმედებს ბიბლიოთეკა, სადაც მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად ხელმისაწვდომია ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებებთან დაკავშირებით არსებული გამოცემები, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული საინფორმაციო ბუკლეტები, ბროშურები და გამოცემები. დეპარტამენტის წერილში აღნიშნულია, რომ პენიტენციური სამსახური მუდმივად ზრუნავს არსებული ბიბლიოთეკის განახლებაზე, შესაბამისად დაწესებულებებს მიეწოდებათ ინფორმაცია კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ყველა დაწესებულებაში ხელმისაწვდომია შესაბამისი დაწესებულების დებულება და სხვა კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც შეეხება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას. იმ დაწესებულებებში, სადაც ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკა არ არის მოწყობილი, ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის საბიბლიოთეკო მომსახურეობის

37 იქვე, მუხლი 20.

გაწევა ხდება მათი მოთავსების ადგილის შესაბამისად. იხ. ინფორმაცია დაწესებულებებისა და მათ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების შესახებ:

პენიტენციური დაწესებულება #	ქართული	რუსული	ინგლისური	გერმანული	აზერბაიჯანული	თურქული	სხვა	ჯამი
2	2837	597	20	28	16	2	-	3500
3	1372	580	-	-	-	33	-	1985
5	7953	745	168	18	60	-	56	9000
6	1495	1200	10	-	17	-	-	2722
7	201	37	1	-	-	-	-	239
8	6012	3005	75	8	4	52	60	9216
9	537	64	5	1	-	-	3	620
11	4535	363	55	7	4	-	1	4965
12	1619	147	37	-	-	-	-	1803
14	934	466	15	-	-	-	-	1415
15	2747	2532	15	12	7	-	314	5627
16	3189	232	271	7	8	-	41	3748
17	3201	1114	54	-	90	35	7	4521
18	150	559	2	1	-	-	-	712
19	951	1225	-	-	-	-	1	2177

დეპარტამენტის დირექტორმა მსჯავრდებულს შეიძლება მისცეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლება: ა) თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა მსჯავრდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე; ბ) სოციალური აქტივობის განსახორციელებლად; გ) სხვა განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით. საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მსჯავრდებულის მონაწილეობის აუცილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, დეპარტამენტი უზრუნველყოფს საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მსჯავრდებულის მონაწილეობას. განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლების მისაღებად მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი შუამდგომლობით მიმართავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს. შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების მოტივი და ადგილი, სადაც მსჯავრდებულმა უნდა გაატაროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ყოფნისათვის განკუთვნილი დრო. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში. დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლება მსჯავრდებულს ეძლევა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის წარდგინებით და მისი პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების ხარჯები ანაზღაურდება მისი ან მისი ოჯახის სახსრებით, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად მსჯავრდებულის გაყვანასთან. მინისტრის მიერ დადგენილი წესით მსჯავრდებულის სამკურნალო დაწესებულებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლება შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი ხარჯების აუნაზღაურებლად.[38] იხ. 2014-2018 წლების სტატისტიკა დაწესებულების დროებით დატოვებასთან დაკავშირებით:

38 იქვე, მუხლი 26.

პენიტენციური დაწესებულება # 2014	2015	2016	2017	2018 (ივლისი)
2	5	18	6	5	5
3	-	-	-	-	-
5	28	84	4	64	1
6	2	0	0	0	0
7	-	-	-	-	-
8	4	11	10	9	11
9	-	-	-	-	-
11	3	1	3	0	0
12	0	5	2	3	1
14	4	10	12	11	4
15	12	11	15	14	12
16	-	46	5	83	9
17	13	13	8	10	7
18	-	-	-	-	-
19	2	0	0	3	0

როგორც ცხრილიდან ჩანს, დაწესებულების ხანმოკლე დატოვების უფლებით 5 წლის განმავლობაში საერთოდ არ უსარგებლიათ #3,#7 (ამჟამად დახურულია), #9, #18 დაწესებულებებში მყოფ პირებს. 5 წლის მანძილზე ჯამურად ყველა დაწესებულებაში, დროებით დატოვების უფლებით ისარგებლა 586 პირმა.

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის და რომლის მიმართაც არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან რომელსაც შეფარდებული არ აქვს დისციპლინური პატიმრობა, უფლება აქვს წელიწადში ორჯერ ისარგებლოს თავისუფლებისაღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. ორსულ ქალს და 3 წლამდე ბავშვის დედას უფლება აქვთ, წელიწადში სამჯერ ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც. მსჯავრდებულს დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დამატებით წელიწადში ორჯერ მიეცეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება უმაღლესი განათლების მიღების უფლებით სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა ფორმდება დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით. მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი; ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი.

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის, დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებას აძლევს დეპარტამენტის დირექტორი, თუ დაკმაყოფილებულია ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული პირობები, ამასთანავე, მსჯავრდებული დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულია: ა) სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ჩარიცხვის გამო; ბ) პირადი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე; გ) გადამდები ინფექციური დაავადების გამო. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მსჯავრდებულს დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, გათვალისწინებული ვადების მიუხედავად, შესაძლებელია მიეცეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლების მისაღებად მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი შუამდგომლობით მიმართავს დეპარტამენტის დირექტორს. ამ შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის მოტივი და ადგილი, სადაც მსჯავრდებულმა უნდა გაატაროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლების გარეთ ყოფნის დრო. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შუამდგომლობის განხილვისას მხედველობაში მიიღება: ა) მსჯავრდებულის პიროვნება; ბ) ოჯახური მდგომარეობა; გ) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე; დ) დანიშნულების ადგილი; ე) სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად ახასიათებს მსჯავრდებულს.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას დეპარტამენტის დირექტორს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი უზრუნველყოფის ღონისძიებები: ა) გირაო – არანაკლებ 2000 ლარისა; ბ) პირადი თავდებობა; გ) ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) საშუალება. შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ერთად გამოყენება. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შემთხვევაში, მსჯავრდებული პირველივე დღეს უნდა გამოცხადდეს პრობაციის ბიუროში, სადაც დააფიქსირებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის დაწყების დროს. თუ ობიექტური მიზეზებით მსჯავრდებული განსაზღვრულ ვადაში ვერ ახერხებს დაწესებულებაში დაბრუნებას, პრობაციის ბიურო უფლებამოსილია გაუგრძელოს მას ვადა არა უმეტეს 2 დღისა. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხარჯები, გარდა ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) მექანიზმის გამოყენების ხარჯებისა, გადაიხდება მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავის სახსრებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ მსჯავრდებულის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დეპარტამენტის დირექტორის მოტივირებული უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.[39] როგორც სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული წერილიდან ირკვევა, 2014-2018 წლებში პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულებს/ მსჯავრდებულებს არ უსარგებლიათ პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.

პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ: ა) საქართველოს პრეზიდენტი; ბ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პარლამენტის წევრები; გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი; დ) პროკურატურის სისტემის საამისოდ უფლებამოსილი პირები; ე) საქართველოს სახალხო დამცველი; ვ) მინისტრი და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები; ზ) სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები. დაუშვებელია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე აუდიო, ვიდეოტექნიკის და ფიქსაციის სხვა სახის ტექნიკის სპეციალური ნებართვის გარეშე შეტანა. სპეციალურ ნებართვას გასცემს დეპარტამენტის დირექტორი მინისტრთან წინასწარ შეთანხმებით. გადაღების თაობაზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის წინასწარ გაფრთხილება სავალდებულოა. საქართველოს სახალხო დამცველი, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობით სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი უფლებამოსილია მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თანხმობით განახორციელოს მათი ან/და მათი უშუალო განთავსების პირობების, გასეირნების ადგილების, საექიმო-სამედიცინო პუნქტის, კვების ობიექტის, საერთო სარგებლობის საშხაპეების, საერთო სარგებლობის საპირფარეშოების და შეხვედრის ოთახების ფოტოგადაღება. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ფოტოგადაღების რეჟიმის შემოწმება ვიდეოგადაღების თავიდან აცილების მიზნით, ხოლო ვიდეოგადაღების რეჟიმის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ აღკვეთოს იგი.[40]

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის უფლება აქვს: 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით − ულიმიტო სატელეფონო საუბარი; 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 6 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 3 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. წახალისების ფორმით შესაძლოა მსჯავრდებულისთვის დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლების მიცემა; დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; დამატებითი ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა.[41]

მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის, უფლება აქვს: 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის სატელეფონო საუბარი − დღე-ღამეში არაუმეტეს 30 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით − ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული − არაუმეტეს 15 წუთისა; 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები დამატებითი ხანმოკლე პაემანი; დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლა; დამატებითი ხანგრძლივი პაემანი; დამატებითი სატელეფონო საუბარი; დამატებითი ვიდეოპაემანი; დამატებითი

39 იქვე, მუხლი 28.
40 იქვე, მუხლი 60.
41 იქვე, მუხლი 60[1].

საოჯახო პაემანი (ქალი მსჯავრდებულისათვის); პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა.[42]

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს: 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა; 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: დამატებითი სატელეფონო საუბარი; პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობა; დამატებითი ხანმოკლე პაემანი; დამატებითი ხანგრძლივი პაემანი; პერსონალური კომპიუტერით სარგებლობა; დამატებითი ვიდეოპაემანი; პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა; პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორით თანხმობით იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა, რომელიც პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არ არის.[43]

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის, უფლება აქვს: 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი; 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული − არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით − 1 სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 15 წუთისა. სატელეფონო საუბრები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ გარკვეული რაოდენობის სატელეფონო ნომერზე, რომლებშიც არ შედის საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის და მსჯავრდებულის ადვოკატის სატელეფონო ნომრები. მსჯავრდებულის მიერ სატელეფონო საუბრის განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება დაწესებულების დებულებით. დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას სამინისტროს უფლებამოსილ სტრუქტურულ ქვედანაყოფს უფლება აქვს მოისმინოს და ჩაიწეროს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის სატელეფონო საუბრები. მათი მოსმენისა და ჩაწერის შესახებ მსჯავრდებულს წინასწარ ეცნობება, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ მსჯავრდებულის სახელზე გამოგზავნილი კორესპონდენცია მოწმდება კანონით დადგენილი წესით. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით მიიღოს გზავნილი.[44] განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში ამ დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლების მიცემა; დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების მიცემა; პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით, საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა; პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა, რომელიც კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არ არის.[45]

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულზე ამ დაწესებულების ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით ვრცელდება ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დადგენილია შესაბამისი რისკის მსჯავრდებულისთვის. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, შეიძლება მიეცეს უფლება, დატოვოს გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ერთ-ერთი შემდეგი პირობითა და ვადით: ა) გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში, სამუშაო ან/და სასწავლო გრაფიკის შესაბამისად; ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების და უქმე დღეებში; გ) დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, 1 კვირის განმავლობაში არაუმეტეს 3 დღე-ღამისა. მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დაგვიანებით გამოცხადება ან გამოუცხადებლობა იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაგვიანებით გამოცხადება ან გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ერთ-ერთი შემდეგი

42 იქვე, მუხლი 61-63.
43 იქვე, მუხლი 64-66.
44 იქვე, მუხლი 66^3.
45 იქვე, მუხლი 66^4.

გარემოებით: ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა; ბ) მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობისას, ან/და სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოცხადებას, რასაც ადასტურებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი.[46] გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, ამ დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: გ) დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლების მიცემა; დ) დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლების მიცემა; ე) ამანათით ან ფოსტით ისეთი ნივთების, ნივთიერებების ან/და ნაკეთობების მიღების უფლების მიცემა, რომელთა ქონის უფლებაც მსჯავრდებულს დაწესებულებაში, ჩვეულებრივ, არ აქვს, მაგრამ რომლებიც აკრძალული არ არის.

ქალი მსჯავრდებული სასჯელს იხდის ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში. დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვით და ამ დაწესებულების დირექტორის თანხმობით შესაძლებელია დედისა და 3 წლამდე ბავშვის ერთად ცხოვრება. ქალთა სპეციალური დაწესებულება ვალდებულია შექმნას შესაბამისი პირობები. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი 3 წლამდე ბავშვის კვებას, სამედიცინო მომსახურებასა და სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს უზრუნველყოფს სამინისტრო. ქალ მსჯავრდებულს, რომლის 3 წელს მიღწეულმა შვილმა დატოვა ქალთა სპეციალური დაწესებულება, უფლება აქვს, დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, შვილთან ურთიერთობის მიზნით, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების და უქმე დღეებში დატოვოს დაწესებულება. ქალი მსჯავრდებულის მიერ დასვენების და უქმე დღეებში ქალთა სპეციალური დაწესებულების დატოვების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით. საკითხის განხილვისას გაითვალისწინება ქალი მსჯავრდებულისაგან მომდინარე საზოგადოებრივი საშიშროება, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა, ქალი მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებაზე. ქალი მსჯავრდებულის ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში დაგვიანებით გამოცხადება ან გამოუცხადებლობა იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაგვიანებით გამოცხადება ან გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ერთ-ერთი შემდეგი გარემოებით: ა) ქალი მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა; ბ) ქალი მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობისას, ან/და სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში გამოცხადებას, რასაც ადასტურებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით − ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული − არა უმეტეს 15 წუთისა. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, ამ კოდექსის 173 მუხლით დადგენილი წესით 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით − თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 10 კალენდარული დღის განმავლობაში ჰქონდეს 1 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით − თვეში 1 დამატებითი ვიდეოპაემანი. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.[47]

ბრალდებული სარგებლობს ერთი თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით. აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე. გამოძიებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, პატიმრობის დაწესებულების თანამშრომელს, რომელიც ვიზუალურად აკვირდება ბრალდებულის ხანმოკლე პაემანს, შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მისი მსვლელობა.[48] თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა ბრალდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე, ან სხვა განსაკუთრებულ, პირად გარემოებასთან დაკავშირებით, აგრეთვე თუ აუცილებელია ბრალდებულის საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა, გამომძიებელს ან პროკურორს შეუძლია გასცეს ბრალდებულის მიერ პატიმრობის დაწესებულების დროებით დატოვების ნებართვა 2 დღემდე ვადით. პატიმრობის დაწესებულების დროებით დატოვებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.[49]

46 იქვე, მუხლი 71[6].
47 იქვე, მუხლი 72.
48 იქვე, მუხლი 77.
49 იქვე, მუხლი 78.

საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი

გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით, საქართველოში მოქმედი კანონმდელობა წლების მანძილზე იცვლებოდა და მეტ-ნაკლებად დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა არსებობს ცალკეული ნორმები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტები აღიარებს მსჯავრდებულს/ბრალდებულსა და მისი ოჯახის წევრს შორის უშუალო კონტაქტის მნიშვნელობას ვიზიტის განხორციელების დროს. თუმცა საქართველოში, ციხეების დიდ ნაწილში ხანმოკლე ვიზიტები მიმდინარეობს მინის გამყოფ ბარიერს მიღმა და არ იძლევა პირებს შორის უშუალო კონტაქტის შესაძლებლობას. უმჯობესი იქნება, თუ ამგვარი შეზღუდვა დაწესდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რისკების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე და არ იქნება გამოყენებული დაწესებულებაში მყოფი ყველა პატიმრის/მსჯავრდებულის მიმართ. საერთაშორისო სტანდარტები მნიშვნელოვნად მიიჩნევს ასევე ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის შენარჩუნებას მაშინაც, როდესაც ორივე პირი პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფება. ციხეში მყოფ ქალებთან დაკავშირებით წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტებში აღნიშნულია, რომ ქალებს პარტნიორებთან შეხვედრა უნდა შეეძლოთ მაშინაც, როდესაც ორივე მათგანს თავისუფლება აქვს აღკვეთილი. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, არათუ ვიზიტებია აკრძალული, არამედ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შორის დაუშვებელია მიმოწერა და სატელეფონო კომუნიკაციის განხორციელებაც. მნიშვნელოვანია ასევე კანონმდებლობით ქალ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა განახორციელონ ვიზიტის დროის აკუმულირება, რაც იმას გულისხმობს, რომ თუ ქალმა ვერ ისარგებლა ხანმოკლე პაემნის კანონით განსაზღვრული რაოდენობით (ვინაიდან ხშირად პატიმართა განთავსებისას გათვალისწინებული არ არის ქალების საცხოვრებელი ადგილი და ნათესავები ვერ ახერხებენ ხანმოკლე ვიზიტების განხორციელებას), შესაძლებელი იყოს გაცდენილი ვიზიტის ხანგრძლივობის აკუმულირება და ამის ხარჯზე გამოყენებული ვიზიტის დროის გაზრდა. რაც შეეხებათ არასრულწლოვნებს, წამების პრევენციის კომიტეტის რეკომენდაციით მნიშვნელოვანია, რომ მათთვის ვიზიტების განხორციელება შესაძლებელი იყოს არა მხოლოდ სამუშაო, არამედ უქმე დღეებშიც, რაც ჯერჯერობით მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. საერთაშორისო სტანდარტებში ასევე აღნიშნულია, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს უნდა ჰქონდეს მიმოწერის, ვიზიტების, სატელეფონო კავშირის ისეთივე უფლება, როგორც ეს აქვთ მსჯავრდებულ პირებს, თუმცა ადგილობრივი კანონმდებლობით ბრალდებულს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ხანმოკლე ვიზიტებით და არ აქვს უფლება იქონიოს ხანგრძლივი პაემანი ან ვიდეო პაემანი. ასევე მნიშვნელოვანია ვიდეოპაემნის უფლება გათვალისწინებული იქნას განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფი პირებისთვის, რადგან მათთვის კანონმდებლობით გარე სამყაროსთან კომუნიკაცია ისედაც შეზღუდულია, შესაბამისად ვიდეოპაემნის უფლების მინიჭება ხელს შეუწყობს დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს შეინარჩუნონ სოციალური კავშირები. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ სამარტოო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულს/პატიმარს არ შეეზღუდოს სახალხო დამცველთან დარეკვის უფლება, რადგან სამარტოო საკანში უფლებების დარღვევის რისკი უფრო მაღალია და ომბუდსმენთან კონტაქტის შესაძლებლობის არარსებობა კიდევ უფრო ზრდის უფლებების ხელყოფის რისკს. მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში გაკეთდეს შესაბამისი დათქმა, რომ დისციპლინური ზომის სახით სატალეფონო ზარების შეზღუდვა არ ეხება სახალხო დამცველთან კომუნიკაციის შემთხვევას.

კვლევების მეორადი ანალიზი

წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის ანგარიშში 2014 წელს საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ 2012 წლის შემდეგ „პატიმრობის კოდექსი“ შეიცვალა პაემნებისა და კორესპონდენციის შესახებ ნორმები, კერძოდ შესაძლებელი გახდა გრძელვადიანი პაემნები (24 საათამდე ვადით), საოჯახო პაემნები ქალი მსჯავრდებულებისთვის და ვიდეოპაემნები. წამების პრევენციის კომიტეტი მიესალმა ამ ცვლილებებს, თუმცა ანგარიშში აღნიშნულია, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებებში ნანახი სიტუაცია სხვაგვარი იყო და სერიოზული შეშფოთების საფუძველს ქმნიდა. წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს ესაჭიროებოდათ საგამოძიებო ორგანოების ან სასამართლოს თანხმობა იმისათვის, რომ ესარგებლათ პაემნის უფლებით და ასეთი ნებართვა გაიცემოდა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ეს ნიშნავდა, რომ ბრალდებული პირები ვერ სარგებლობდნენ პაემნის უფლებით რამდენიმე თვის, ზოგჯერ წლების განმავლობაში. მათ ასევე არ ჰქონდათ მიმოწერისა და სატალეფონო ზარების განხორციელების უფლება. კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას შეეცვალა პატიმრობის კოდექსი და უზრუნველეყო წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლება. წპკ-ს აზრით, ნებისმიერ აკრძალვას გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ჰქონოდა მყარი საფუძველი, დადასტურებული ყოფილიყო საქმესთან დაუკავშირებელი ორგანოს მიერ და გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ განსაზღვრული ვადით. ასევე ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ცნობილი უნდა ყოფილიყო ბრალდებულისა და მისი ადვოკატისთვის.[50]

50 წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის ანგარიშში 2014 წელს საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, ნაწ.115.

რაც შეეხება მისჯილ პირებს, მიუხედავად წამების პრევენციის კომიტეტის ხანგრძლივი რეკომენდაციისა, მათი ვიზიტების ხელმისაწვდომობა დამოკიდებული იყო რეჟიმზე და იმაზე პირველად იყო პირი მსჯავრდებული თუ განმეორებით. (მაგ: საერთო რეჟიმის პირობებში პირებს ჰქონდათ თვეში ორი პაემანი, მკაცრი რეჟიმის პირობებში კი თვეში ერთი პაემანი). პრაქტიკაში, პატიმრების უმრავლესობა სარგებლობდა ერთი ორსაათიანი ვიზიტით თვეში. ვიზიტის განხორციელება ხდებოდა არაადეკვატურ პირობებში. შეხვედრები იმართებოდა მცირე ზომის შუშით გაყოფილ ტერიტორიაზე, სადაც მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ მნახველებთან, მათ შორის პატარა ბავშვებთან ფიზიკური შეხვედრის შესაძლებლობა. თეორიულად არსებობდა წელიწადში ორი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა, თუმცა წამების პრევენციის კომიტეტის მიერ მონახულებულ #7 და #9 დაწესებულებებში არ იყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა.[51]

რაც შეეხება მისჯილი პატიმრებისთვის ტელეფონით სარგებლობის უფლებას, სიტუაცია განსხვავებული იყო დაწესებულებების მიხედვით: მაგ. #7 დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შეეძლოთ თვეში სამჯერ ესარგებლათ სატელეფონო საუბრის უფლებით 20-დან 30 წუთამდე ხანგრძლივობით, ბათუმის #3 დაწესებულებაში საუბრის მაქსიმალური ხანგრძლივობა იყო 15 წუთი.

2014 წლის ანგარიშში წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ კიდევ ერთხელ სურს გაუსვას ხაზი, რომ სისტემა, სადაც გარე სამყაროსთან კონტაქტი განიხილება სასჯელის ნაწილად, ფუნდამენტურად არასწორია. „ყველა მისჯილ პატიმარს უნდა ჰქონდეს გარე სამყაროსთან კონტაქტით თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობა. კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას შეეცვალა კანონმდებლობაზემოთმითითებულიპრინციპებისშესაბამისად."კომიტეტმაასევემოუწოდასახელმწიფოს, შეეცვალა მოკლევადიანი პაემნების ინფრასტრუქტურა, რათა მსჯავრდებულებს მისცემოდათ შესაძლებლობა ვიზიტები გაემართათ ღია პირობებში, დახურულ პირობებში შეხვედრა უნდა ყოფილიყო საგამონაკლისო და უნდა გამართულიყო მხოლოდ კარგად არგუმენტირებული გადაწყვეტილებით, კონკრეტული მსჯავრდებულისგან ან მნახველისგან მომდინარე რისკის ინდივიდუალურად შეფასების საფუძველზე. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ კომიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ასევე შესაფერისი ინფრასტრუქტურის შექმნას გრძელვადიანი ვიზიტებისთვის და იძლევა მისჯილი პატიმრებისთვის სატელეფონო საუბრების ხელმისაწვდომობის უფლების გაუმჯობესების რეკომენდაციას.[52] კომიტეტის აზრით, პაემნის და სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის აკრძალვა, დე ფაქტო სამარტოო საკანში მოთავსებასთან და მედიის ხელმისაწვდომობის აკრძალვასთან ერთად ქმნის მდგომარეობას, რომელიც უთანაბრდება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.[53]

საქართველოს სახალხო დამცველი ანგარიშები

2014 წლის ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ, აუცილებელია, გაძლიერდეს პატიმრების კონტაქტი გარე სამყაროსთან. მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, რომ ხანმოკლე პაემანი განხორციელებულიყო მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, ხანმოკლე პაემანი კვლავ მინის გამყოფ ბარიერს მიღმა მიმდინარეობდა. ომბუდსმენის განმარტებით, მნიშვნელოვანია, ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოეწყოს ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს მიეცა რეკომენდაცია მაქსიმალურად შეეწყო ხელი უვადო პატიმრებისთვის შეენარჩუნებინათ ურთიერთობა ოჯახის წევრებთან.[54]

ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დასავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგების შედეგად დადგინდა, რომ პრობლემას წარმოადგენდა ხანმოკლე პაემნის დროს, დაწესებულებათა უმრავლესობაში მინის ბარიერების არსებობა და აგრეთვე ოჯახის ვიზიტის დროს კონფიდენციალური გარემოს უზრუნველყოფის შეუძლებლობა. აგრეთვე ანგარიშში ხაზი გაესვა პატიმართა განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობის პრობლემას. ომბუდსმენი ანგარიშში დადებითად აღნიშნავს, რომ 2014 წლის 16 აპრილს „პატიმრობის კოდექსში" შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობით, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს იმ პირებთან ხანმოკლე პაემნის უფლება, რომლებიც გათვალისწინებულნი არ არიან კოდექსში არსებულ ახლო ნათესავთა ჩამონათვალში.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების უმეტესობაში ხანმოკლე პაემანი დგება შუშით გადატიხრულ ოთახში. ასეთ შემთხვევაში პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, ისეთი,

51 იქვე, ნაწ.116
52 იქვე, ნაწ.117.
53 იქვე, ნაწ.118.
54 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ 139.

როგორიცაა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, მცირეწლოვან შვილთან შეხვედრა და ა.შ. ოჯახის წევრებთან უშუალო ფორმის ხანმოკლე პაემანი ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ნებართვით. ომბუდსმენის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია ფიზიკური გამყოფი ბარიერები, მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური ურთიერთობის საშუალება იყოს აღიარებული ნორმა. გარდა ამისა, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლითაც ხდება ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და პროპორციული იმ მიზნის მიღწევისა, რისთვისაც მსგავსი შეზღუდვა წესდება. სახალხო დამცველის აზრით, ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ გადახედვას. [55]

ანგარიშში აგრეთვე აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში არ არსებობს ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ხანგრძლივი პაემნით სარგებლობენ მხოლოდ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები. როგორც წესი, პატიმრების ოჯახის წევრებთან წინასწარი შეთანხმებით, თვეში ერთხელ ხდებოდა უვადო მსჯავრდებულების ტრანსპორტირება N6 დაწესებულებაში, სადაც ეწყობოდა ხანგრძლივი პაემანი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების მსგავსად ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ იყო N7, N5, N18 და N19 დაწესებულებებში. ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების N18 დაწესებულებაში განთავსებულნი არიან მსჯავრდებულები, რომლებიც იმყოფებიან ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში და ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ვერ სარგებლობენ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებით. ხანგრძლივი პაემნის რეალიზაციის უფლებით ვერ სარგებლობდნენ აგრეთვე დეპარტამენტის N7 დაწესებულებაში განთავსებული უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები.[56] სახალხო დამცველი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N12 დაწესებულებაში შეიქმნა ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს. საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N14 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის დროს სოციალური განყოფილების თანამშრომლებმა მონიტორინგის ჯგუფს განუცხადეს, რომ დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულს პატიმრობის კოდექსის თანახმად, უფლება არ ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში ესარგებლა ხანგრძლივი პაემნის უფლებით. ომბუდსმენის აზრით, აშკარად სახეზეა ზემოაღნიშნული პუნქტის არასწორი ინტერპრეტაცია, ვინაიდან ამ პუნქტში საუბარია იმ შემთხვევაზე, როდესაც მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი (დისციპლინური სახდელის ვადა გასული არ არის) და ხანგრძლივი პაემნის შეზღუდვა არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც გასულია დისციპლინური სახდელის ვადა, თუნდაც მსჯავრდებული სახდელდადებულად ითვლებოდეს.[57]

ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ პატიმრისა და მისი ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ხშირ შემთხვევაში, აბრკოლებს მსჯავრდებულთა მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების განხორციელებას, რაც პატიმრისთვის ოჯახთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. სახალხო დამცველი მიესალმება იმ ფაქტს, რომ პატიმრობის კოდექსის 172-ე მუხლს დაემატა მე-11 ნაწილი: ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა შეიძლება განხორციელდეს საფასურის გადახდის გარეშე მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან სტუმრები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.[58]

რაც შეეხებათ ბრალდებულებს, ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის ზოგადი აკრძალვა გაუმართლებელია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ პატიმრობის კოდექსში უნდა განხორციელდეს ცვლილება და გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, განისაზღვროს პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის წესი.[59]

2014 წლისთვის სახალხო დამცველი გასცემდა რეკომენდაციას, ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელების მიზნით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, არა უგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა, უზრუნველეყო საჭირო პირობების შექმნა და ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელება ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.[60]

ანგარიშში ომბუდსმენი მიუთითებდა, რომ 2014 წლისთვის სასჯელაღსრულების მხოლოდ 4 დაწესებულებაში (სასჯელაღსრულების N5, N11, N15 და N17 დაწესებულებებში) იყო ვიდეოპაემნის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.[61] გარკვეული სირთულეები იყოს სატელეფონო საუბრებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, თუ პატიმარი ერთ სატელეფონო ბარათზე ვერ ამოწურავდა

55 იქვე, გვ 140-141.
56 იქვე, გვ 144-145.
57 იქვე, გვ 146.
58 იქვე, გვ 146.
59 იქვე, გვ147.
60 იქვე, გვ 146.
61 იქვე, გვ148.

სასაუბრო ლიმიტს, მას დარჩენილი ლიმიტი ებლოკებოდა, შესაბამისად აღარ ჰქონდა დამატებითი სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალება და იძულებული ხდებოდა შეეძინა ახალი ბარათი, რაც დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სატელეფონო ბარათი ასევე იბლოკებოდა თუ პატიმარი ბარათით განხორციელებული სატელეფონო ზარების ფარგლებში ვერ მოახერხებდა საუბარს (სატელეფონო კავშირის გაწყვეტის, არასწორი ნომრის აკრეფის ან სხვა მიზეზების გამო). პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში მუდმივად იყო სატელეფონო ბარათების დეფიციტი, რაც ხელს უშლიდა პატიმრებს შეუზღუდავად ესარგებლათ მათთვის მინიჭებული უფლებით.

ომბუდსმენი მიიჩნევდა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილი კორესპონდენციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხს. მიუხედავად კანონში არსებული ჩანაწერისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგების დროს გამოვლინდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სახალხო დამცველის აპარატის კორესპონდენციის კონფიდენციალურობის დარღვევა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჩივრის ყუთის საშუალებით გაგზავნილი იქნა 3 135 წერილი. უნდა აღინიშნოს, რომ წერილების 50% გაიგზავნა N17, ხოლო 47% - N15 დაწესებულებებიდან. სხვა დაწესებულებებში საჩივრების ყუთით პატიმრები პრაქტიკულად არ სარგებლობდენ.[62]

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

2015 წლის ანგარიშში, სახალხო დამცველი იმეორებს, რომ კვლავ აქტუალურია მინის ბარიერის, პატიმართა განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობისა და პაემნების კონფიდენციალობის პრობლემა. სახალხო დამცველი განმარტავს, რომ დასავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში პაემნის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან გადაყვანილ პატიმრებს აქვთ.[63]

ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულები N8 და N9 დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ვერ სარგებლობენ ხანგრძლივი პაემნით, ამასთან ხანგრძლივი პაემანი კვლავაც არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმრებს. სახალხო დამცველის აზრით, მნიშვნელოვანია, შევიდეს ცვლილებები და დახურული ტიპის, ასევე განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცეთ დამატებით ხანმოკლე პაემანი. 2015 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში სულ განხორციელდა 40 897 ხანმოკლე პაემანი.[64]

საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის საპარლამეტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველეყო ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. 2015 წლისთვის აღნიშნული პრობლემა კვლავ რჩებოდა დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში, თუმცა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში შეიქმნა ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა.[65] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ პატიმრობის კოდექსის დათქმა, რომელიც განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს უკრძალავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას, წარმოადგენს ბლანკეტური ხასიათის პირდაპირ შეზღუდვას, რომელიც არ იძლევა ლეგიტიმური მიზნის გათვალისწინების შესაძლებლობას. „პირდაპირი კონტაქტის ხანგრძლივი პერიოდით აკრძალვა შესაძლებელია გამართლებული იყოს, როდესაც არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეალური და განგრძობადი რისკი. სახელმწიფოს არ აქვს თავისუფალი შესაძლებლობა დააწესოს ზოგადი ხასიათის შეზღუდვები, იმის დადგენის გარეშე, არის თუ არა კონკრეტულ შემთხვევებში შეზღუდვები შესაბამისი ან აუცილებელი. სახალხო დამცველის აზრით, პატიმრობის კოდექსში არსებული აკრძალვა უფრო დამატებითი სასჯელის ხასიათს ატარებს, ვიდრე უსაფრთხოების ზომას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა ტიპის დაწესებულების პატიმრისათვის ნორმას უნდა წარმოადგენდეს ოჯახთან კონტაქტის, მათ შორის ხანგრძლივი პაემანის განხორციელების შესაძლებლობა. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო ცვლილებები შესულიყო პატიმრობის კოდექსში და განხორციელებულიყო აღნიშნული პრინციპების სრულფასოვანი ასახვა.[66]

2015 წელს კვლავ პრობლემად რჩებოდა იმ პუნქტის არასწორი ინტერპრეტაცია, როდესაც დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულს უფლება არ ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში ესარგებლა ხანგრძლივი პაემნის უფლებით. ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ იყო N7; N8; N18 და N19 დაწესებულებებში. სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის განხორციელება დაიწყო 2014 წლის მაისის თვიდან. N5 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის განხორცილება დაიწყო 2015 წლის 31 დეკემბერს.[67]

62 იქვე, 149-150.
63 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ 146.
64 იქვე, გვ 147.
65 იქვე, გვ 148.
66 იქვე, გვ 149-150.
67 იქვე, გვ 151.

2015 წლისთვის 2014 წლის მსგავსად მხოლოდ N5 პენიტენციურ დაწესებულებაში (N5, N11, N15, N16 და N17 დაწესებულებებში) იყო ვიდეოპაემნის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.[68]

ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ სატელეფონო ზარების განხორციელების დროს პატიმრებს კვლავ პრობლემები ექმნებათ სასაუბრო ლიმიტთან დაკავშირებით. ანგარიშის თანახმად, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პატიმართა მიერ სატელეფონო ზარების განხორცილების დროს განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ტელეფონის აპარატების სიმცირე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას პატიმრებმა განაცხადეს, რომ მსჯავრდებულებს უწევთ რიგში დგომა და ხშირად პატიმართა ნაწილი ვერ ახერხებს დროულად ისარგებლოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზებით. რაც შეეხება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს, აქ ტელეფონის აპარატები განთავსებული იყო დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახში და შეუძლებელი იყო საუბრის კონფიდენციალობის დაცვა. ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს არ შეუძლიათ სატელეფონო ზარი განახორციელონ სახალხო დამცველის აპარატში. დაწესებულებებში ვიზიტის დროს პატიმრები მიუთითებდნენ, რომ სატელეფონო საუბრის შეზღუდვა ვრცელდებოდა სახალხო დამცველის აპარატსა და ინსპექტირების სხვა ორგანოებზეც. პატიმრობის კოდექსის 98-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს საჩივრით საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს. ამავე კანონის 82-ე მუხლის თანახმად კი, დისციპლინური გადაცდომისთვის პირადი კორესპონდენციის შეზღუდვა არ ვრცელდება იმ კორესპონდენციაზე, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს სახალხო დამცველი. ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ მსგავსი დათქმა არ არის სატელეფონო ზართან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, იმ მიზნით რომ პატიმარს რომელიც იმყოფება სამარტოო საკანში მიეცეს სახალხო დამცველთან ნებისმიერი ფორმით, მათ შორის სატელეფონო ზარით დაკავშირების შესაძლებლობა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N119; N116; N117 ბრძანების მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დეესკალაციის ოთახში მოთავსება არ არის ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული რომელიმე უფლების ავტომატურად შეზღუდვის საფუძველი, თუმცა ომბუდსმენის განმარტებით, პრაქტიკაში დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ პატიმარს გარე სამყაროსთან კონტაქტი სრულად ეზღუდება. მაგალითად, N8 დაწესებულებაში ვიზიტისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს პატიმრებმა განაცხადეს, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსების შემთხვევაში მათ არ შეეძლოთ კორესპონდენციის გაგზავნა, ასევე ტელეფონით და პაემნით სარგებლობა, რაც კანონმდებლობის უხეში დარღვევაა. [69]

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

2016 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ N6 და N8 პენიტენციური დაწესებულებებისაგან განსხვავებით, N7 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები, წინა წლების მსგავსად, ვერ სარგებლობდნენ ხანგრძლივი პაემნის უფლებით. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი იყო ნაკლები რაოდენობის პაემნის და სატელეფონო საუბრის განხორციელების შესაძლებლობა. ომბუდსმენი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ, ბრალდებულების მიერ ხანმოკლე პაემნის, მიმოწერის და სატელეფონო ზარების უფლების განსახორციელებლად აღარ იყო საჭირო გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვის მიღება. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ არ არის შესრულებული სახალხო დამცველის წინადადება ბრალდებულისათვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე.

2016 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა პატიმართა განთავსებისას ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ასევე ხანმოკლე პაემნის მინით გადატიხრულ ოთახებში ჩატარება.. აღსანიშნავია, რომ ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა ისევ მხოლოდ N5 პენიტენციურ დაწესებულებაში იყო. 2016 წელს N8, N9, N18 და N19 დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ ხანგრძლივი პაემნით იმ დაწესებულებებში, სადაც მოწყობილი იყო სათანადო ინფრასტრუქტურა, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩებოდა დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებსა და სამკურნალო დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის მოწყობა.[70] ხანგრძლივი პაემანი კვლავ არ ეძლეოდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს.

ომბუდსმენი ასევე საუბრობს დახურული ტიპის დაწესებულებებში სატელეფონო ზარების კონფიდენციალურობის პრობლემაზე. ის განმარტავს, რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენს დეესკალაციის ოთახში მოთავსებული პატიმრების მიერ სახალხო დამცველთან კორესპონდენციის გაგზავნა და სატელეფონო ზარების განხორციელება. აქვე აღსანიშნავია, რომ პატიმრებს საშუალება არ

68 იქვე, გვ 152.
69 იქვე, გვ 153-154.
70 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ 144.

ჰქონდათ სახალხო დამცველის აპარატისა და ინსპექტირების სხვა ორგანოების ცხელ ხაზზე დაერეკათ ღამის საათებში. მსჯავრდებულს კვლავაც არ ეძლეოდა ხანგრძლივი პაემნითა და ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება, თუ მას დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული პატიმრობა.[71]

ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ ბრალდებული 2016 წლის 1 იანვრიდან 1 თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით სარგებლობს, რაც ომბუდსმენის აზრით ცალსახად პოზიტიური ცვლილებაა და დადებითად აისახება როგორც ბრალდებულთა კავშირის შენარჩუნებაზე ოჯახის წევრებთან, ისე სტრესის შემცირებაზე.[72]

ომბუდსმენი მიესალმება იმ ფაქტს, რომ 2016 წელს, N8, N9, N18 და N19 დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები ხანგრძლივი პაემნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მქონე დაწესებულებაში სარგებლობდნენ. რაც შეეხება N7 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს, ისინი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისთვის, სხვა დაწესებულებაში არ გადაჰყავდათ. საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 და 2015 წლების საპარლამენტო ანგარიშებში რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველეყო ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პასუხის თანახმად, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, ტარდებოდა საჭირო ღონისძიებები. თუმცა აღნიშული პრობლემა კვლავ რჩებოდა დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებსა და სამკურნალო დაწესებულებებში. პრობლემად რჩებოდა ასევე განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნის მიცემის საკითხი. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო იზიარებდა აღნიშნულ პოზიციას და იგეგმებოდა „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანა, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისთვის გათვალისწინებული იქნებოდა წელიწადში ერთი ხანგრძლივი პაემანი და დამატებით ერთი პაემანი წახალისების მიზნით, რაც დღეისთვის კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებულია.[73]

ხანგრძლივი პაემნით სარგებლობასთან დაკავშირებით, კვლავ არასწორად ხდებოდა დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევაში, ერთი წლით ხანგრძლივი პაემნის აკრძალვა.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებდა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან იმ სტუმრების გათავისუფლებას, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თუმცა, ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ ამის მიუხედავად, ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა პატიმრების ნაწილს აბრკოლებს ისარგებლოს მათთვის კანონით მინიჭებული ხანგრძლივი პაემნის უფლებით.[74] ომბუდსმენმა დადებითად შეაფასა N8 და N14 დაწესებულებებში ვიდეოპაემნისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.[75]

ანგარიშში აღნიშნულია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრების დროს პატიმრები, რომელთაც განსაზღვრული აქვთ საშიშროების მაღალი რისკი, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ თვეში მხოლოდ ერთი 10-წუთიანი სატელეფონო ზარის უფლების გამო. სახალხო დამცველის აზრით, იმ პირობებში, როდესაც მაღალი რისკის მსჯავრდებულებს არ ეძლევათ ხანგრძლივი პაემნის უფლება, ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი ხანმოკლე პაემნით და ერთი სატელეფონო ზარით სარგებლობის უფლება ვერ უზრუნველყოფს მათ მიერ ოჯახთან სათანადო ურთიერთობის შენარჩუნებას. ამდენად, ომბუდსმენს მნიშვნელოვნად მიაჩნდა პატიმრობის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და ამ კატეგორიის პატიმრებისთვის ერთი თვის განმავლობაში გათვალისწინებული სატელეფონო ზარების რაოდენობის გაზრდა. მსჯავრდებულთა განმარტებით, შეზღუდვები ვრცელდებოდა ასევე საჯარო დაწესებულებებთან დაკავშირებაზეც, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველთან, ასევე, ადვოკატთან ზარის განხორციელებაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ პატიმრებს კვლავაც არ ჰქონდათ საშუალება სახალხო დამცველის აპარატისა და ინსპექტირების სხვა ორგანოების ცხელ ხაზზე დაერეკათ ღამის საათებში. სახალხო დამცველი განმარტებით, სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს არ შეეძლოთ სახალხო დამცველის აპარატში დარეკვა.[76]

კვლავ პრობლემად რჩებოდა დეესკალაციის ოთახში მოთავსებული პატიმრის გარე სამყაროსთან კონტაქტის სრულად შეზღუდვა. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ დაუშვებელია დასჯის მიზნით უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება.

ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პატიმართა მიერ სატელეფონო ზარების განხორცილების დროს განსაკუთრებულ პრობლემას ქმნიდა ტელეფონის აპარატების სიმცირე. რაც შეეხება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს, აქ ტელეფონის აპარატები,

71 იქვე, გვ 144.
72 იქვე, გვ 146.
73 იქვე, გვ 148.
74 იქვე, გვ 150.
75 იქვე, გვ 151.
76 იქვე, გვ 154-155.

წინა წლების მსგავსად, განთავსებული იყო დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახში და შეუძლებელი იყო საუბრის კონფიდენციალობის დაცვა.[77]

საქართველოს სახალხო დამცველს მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერის აკრძალვა. მისი ზრით, შესაძლებელია ამ ტიპის კომუნიკაცია შეიზღუდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების არსებობისას, რაც დასაბუთებული უნდა იყოს ინდივიდუალურად.

პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგების დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის ხელმიუწვდომელი იყო ზოგიერთი რეიტინგული ქართული არხი. გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ საშუალება მათთვის გასაგებ ენაზე მოესმინათ ტელეგადაცემებისთვის. რაც შეეხება პრესას, ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ N7, N9, N12 და N14 დაწესებულებები საერთოდ არ მარაგდებოდა ჟურნალ-გაზეთებით. ომბუდსმენის აზრით, აუცილებელია, რომ დაწესებულებებში არსებული ჟურნალ-გაზეთები იყოს მრავალფეროვანი, ამასთან იყოს სხვადასხვა ენაზე, რათა ყველა პატიმარს ჰქონდეს შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში გაეცნოს მათ.[78]

საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

ომბუდსმენი მიესალმება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მინიჭებასა და სატელეფონო საუბრით სარგებლობის ოდენობისა და ხანგრძლივობის გაზრდას. ამავდროულად, მიუთითებს, რომ კვლავ პრობლემურია ხანმოკლე პაემნის ოთახებში მინის ბარიერის არსებობა და პატიმართა განთავსებისას ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა (სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ისინი არ აწარმოებენ სტატისტიკას თუ რამდენი პატიმარი იქნა განთავსებული საცხოვრებელ სახლთან ახლოს), ოჯახის ვიზიტის დროს კონფიდენციალური გარემოს არარსებობა, სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობის დარღვევა, ბიბლიოთეკებში პერიოდული პრესის ხელმიუწვდომლობა, სატელევიზიო არხების არამრავალფეროვნება (მათ შორის, ენობრივი თვალსაზრისით).

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის თანახმად, ხანგრძლივი პაემნით კვლავ ვერ სარგებლობენ N18 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულები. დაწესებულებაში მსჯავრდებულები შესაძლოა მოთავსებულნი იყვნენ ხანგრძლივი დროით, ამ შემთხვევაში მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ხანგრძლივი პაემნით მათთვის განსაზღვრული საშიშროების რისკის შესაბამისად. ვიდეოპამენით სარგებლობა შეეძლოთ N5, N8, N11, N15, N16 და N17 დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს, სხვა დაწესებულებებში აღნიშნული უფლებით სარგებლობა ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო შეუძლებელია. ამასთან, ვიდეოპაემანი არ ეძლეოდათ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს.[79]

სტატისტიკური ინფორმაცია

სამინისტროს ვებ გვერდიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით 50 369-ჯერ ისარგებლეს. მათგან უმეტესობა ხანმოკლე პაემანზე მოდის (44750), ხოლო შედარებით მცირე მაჩვენებლით ხასიათდება ხანგრძლივი (5328) და ვიდეო პაემნები (291).

2015 წლის განმავლობაში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით 47 535-ჯერ ისარგებლეს. მათგან, უმეტესობა ხანმოკლე პაემანია (41354), შედარებით მცირე რაოდენობით გაიმართა ხანგრძლივი (5832) და ვიდეო პაემნები (349).

2016 წლის განმავლობაში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით 45 930-ჯერ ისარგებლეს. აქედან (39970) ხანმოკლე პაემანი, (5431) ხანგრძლივი პაემანი, (521) ვიდეო და (8) საოჯახო პაემანი.

უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურ ინფორმაციასა და სამინისტროდან გადმოგზავნილ მონაცემებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი ცდომილებები, რაც შეუძლებელს ხდის სანდო მონაცემების განსაზღვრას (ყველაზე მცირე ცდომილების დროს, რიცხვები ფაქტობრივად გაორმაგებულია, გვხვდება ასევე სამმაგი და ხუთმაგი ცდომილებაც).

77 იქვე, გვ 155.
78 იქვე, გვ 156-157.
79 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ 50.